ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**g-29.29220969**
თარიღი:**06/04/2022**

ლევან კვატაიასათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ.გ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის #7 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული თერჯოლის მუნიციაპლიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-5, მე-6 პუნქტების, საკრებულოს წევრის ლევანი კვატაიას 2022 წლის 30 მარტის განცხადებისა და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2022 წლის 5 აპრილის N 3 დასკვნის საფუძველზე, საკრებულომ **გადაწყვიტა:**

მუხლი 1. ცნობად იქნას მიღებული საკრებულოს წევრის **ლევანი კვატაიას** განცხადება საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

მუხლი 2. ლევანი კვატაიასათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 31 მარტი.

მუხლი 3. ეს განკარგულება სახელმძღვანელოდ გაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას და N 49 თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიას.

მუხლი 4. ეს განკარგულება შესაძლებელია გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ, ზესტაფონი, წერეთლის ქ. #7).

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM